ლუკა კუჭუხიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუნების ბიფურკაციის პრობლემა ალფრედ ნორთ უაიტჰედის ფილოსოფიაში (პირველადი და მეორადი თვისებების გადააზრების ცდა)

ბუნების თემას ფილოსოფიური თვალსაწიერიდან ალფრედ ნორთ უაიტჰედი პირველად 1920 წელს ტრაქტატ "ბუნების ცნება"-ში უახლოვდება და, მეოცე საუკუნის იმ დროს უკვე აღიარებული მათემატიკოსი, თავისი ბუნების ფილოსოფიის განვითარებას იწყებს. ამ ნაწარმოების პირველივე თავში ის საინტერესო დაკვირვებებს იძლევა:

მოაზროვნისათვის ბუნება ის არის, რასაც შეგრძნებათა საშუალებით აღქმაში ვაკვირდებით. ამგვარ გრძნობად აღქმაში ჩვენ ვეცნობით რაღაცას, რაც არ არის აზრი და თვითკმარია აზრის მიმართ. აზრის მიმართ თვითკმარობის ეს თვისება უდევს საფუძვლად ბუნებისმეტყველებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება შეიძლება მოაზრებულ იქნეს ისეთ დახურულ სისტემად, რომლის ურთიერთმიმართებებიც არ საჭიროებენ მათი მოაზრებულობის ფაქტის გამოხატვას. გამოდის, რომ რაღაც გაგებით ბუნება აზრისაგან დამოუკიდებელია (Whitehead, 1920, p. 3).

„ბუნების ცნების" მიხედვით, ყოველ კონკრეტულ დროით ვითარებაში, გრძნობადი აღქმის (sense-perception) პროცესში, ჩვენ მრავალფეროვან შთაბეჭდილებათა (sensations) აღბეჭდვას ვახდენთ. ტერმინი "შთაბეჭდილება", პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რასაც აღვიქვამთ, რასაც ერთგვარ მთლიანობად ვაერთიანებთ თავდაპირველად, ჯერ ისევ არამოაზრებულ ერთიანობად. დროთა განმავლობაში, ჩვენ ამგვარ შთაბეჭდილებათა მთელი ჯაჭვის აღქმას ვახორციელებთ, ვუშვებთ რა მათ შემადგენლობასა თუ შინაარსს საკუთარ ცნობიერებაში. უაიტჰედისათვის ამ პროცესს არ აქვს კოგნიტური ხასიათი. მოაზროვნისათვის ამ დროს უნიკალური სახის გრძნობად ცნობიერებას (sense awareness) აქვს ადგილი (Whitehead, 1920, p 3).

უაიტჰედი ერთ-ერთი პირველია, ვინც ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ, როგორც აზროვნების პროცესი შეიძლება იყოს გაცნობიერებული (მე ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ ვაზროვნებ), ასევე თავად შთაბეჭდილებებსაც (გრძნობად მოცემულობებს)

აღქმის პროცესში დაჭყვებათ უნიკალური სახის ცნობიერება (awareness), არა რეფლექსიური, არამედ გრძნობადი (Whitehead, 1920, p 3). სწორედ გრძნობადი ცნობიერება იწვევს ჩვენში ბუნების სრულყოფილი მოვლენადობის განცდას. ბუნება აზრისათვის თავის თავშია მოცული, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მოაზრება შესაძლებელია იმ ფაქტის გათვალისწინების გარეშეც, რომ ის მოაზრებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, თავისი მისიისა და ინტერესების გათვალისწინებით, გრძნობადი ცნობიერების ობიექტი აინტერესებთ, მაგრამ არა თავად გრძნობადი ცნობიერება. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რას გულისხმობს ეს კონცეპტი, საჭიროა ფილოსოფიური სპეკულაციის მოხმობა. შთაბეჭდილებათა შინაარსობრივი სამყარო სწორედ ფილოსოფიური აზრის კომპეტენციის სფეროა, უაიტჰედისათვის კი – ერთგვარი საბოლოო მიზანიც, რადგან სპეკულაციურად მოაზრებადი გრძნობადი ცნობიერება მისთვის აღარ ექვემდებარება შემდგომ რედუქციულ ოპერაციებს.

უმთავრეს ფილოსოფიურ ამოცანად კი, ამგვარ ვითარებაში, საგანთა და მოვლენათა სამყაროდან მათ გამომწვევ მიზეზებთან გადანაცვლება ცხადდება. ასე დაყენებული საკითხი, უაიტჰედის მიხედვით, „ბუნების ორად გახლეჩის" საფრთხის წინაშე გვაყენებს: ბუნებად, რომელიც წვდომილია ცნობიერების მიერ, და ბუნებად, რომელიც ცნობიერების გამომწვევი მიზეზია. მსგავსი დასკვნა უაიტჰედისეული ფილოსოფიის ფარგლებში კი ყოველთვის არალეგიტიმურად გამოცხადდება, რადგან მას არ გააჩნია საფუძველი თავად გრძნობად ცნობიერებაში.

ამ ფილოსოფიურ ფიქციას უაიტჰედი „ბუნების ბიფურკაციის" თეორიად ნათლავს და კოსმოლოგიური სქემის აგებისას თავისი ფილოსოფიის დიდ ნაწილს სწორედ მის კრიტიკაზე აფუძნებს. არსებითად, რასაც ავტორი უპირისპირდება, რეალობის ორ სისტემად ბუნების ბიფურკაციის ფენომენია. ამ ვითარებისას, ერთ რეალობას ისეთი არსებულები განეკუთვნებიან, როგორებიც ელექტრონები არიან. ეს სპეკულაციური ფიზიკის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს, ისეთ სინამდვილეს, რომელიც თითქოს გამზადებულია ცოდნისათვის, ამ თეორიის პერსპექტივიდან კი არც არასდროს ხდება შემეცნების ობიექტი, რადგან ის, რაც შემეცნების ობიექტად გარდაისახება, სინამდვილის მეორე განზომილებაა, რომელიც გონების მეორეული მოქმედების არეალია. შედეგად ვიღებთ ორ ბუნებას, ერთი მათგანი სპეკულაციაა, მეორე კი – ზმანება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნება ორ ნაწილად განიცდის ბიფურკაციას: ცნობიერებაში მოცემულ ბუნებად, რომელიც საკუთარ თავში გულისხმობს ხეთა სიმწვანეს, ფრინველთა გალობას, მზის სითბოს, სკამთა სიმყარეს, ხავერდის შეგრძნებას, და იმ ბუნებად, ამ ცნობიერებას რომ ბადებს, მოლეკულათა და ელექტრონთა მოაზრებულ სისტემად, რომელიც ისეთ გავლენას ახდენს გონებაზე, რომ იგი ცხადად არსებული ბუნების აღქმის სურათს იძლევა. ამ ორი ბუნების შეხვედრის წერტილი გონებაა, კაუზალური ბუნება ზემოქმედებს, ხოლო ცხადი ბუნება სათავეს ღებულობს (Whitehead, 1920, p. 30).

საიდან მომდინარეობს მატერიალისტური ცნობიერება ან ის მენტალური შრე, რომელსაც უაიტჰედი ბუნების ბიფურკაციის პრობლემასთან აკავშირებს? მოაზროვნის აზრით, ამგვარ მსოფლაღქმას საფუძვლად უდევს სწავლება, რომელიც გვეუბნება, რომ სამყაროში არსებობს რაღაც, რასაც სახელად მატერია ჰქვია, ან უფრო მეტიც, თუკი რამ არსებობს აუცილებელი სახით – მხოლოდ მატერიაა. ამ თვალსაწიერიდან მატერია გაგებულია, როგორც რაღაც ისეთი, რაც მარტივი ადგილმდებარეობით (simple location) ხასიათდება, რომლის მიხედვითაც საგანი ყოველმხრივაა შემოფარგლული ადგილმდებარეობითი წერტილით დროსა და სივრცეში. სწორედ ამგვარია მეჩვიდმეტე საუკუნის ფილოსოფოსების პასუხი იონურ მოაზროვნეთა ძირეულ კითხვაზე იმის შესახებ, თუ „რომელი ელემენტებისაგან შედგება სამყარო". სამყარო არის მატერიის ან მასზე უფრო ფაქიზი ნივთიერების, მაგ., ეთერის, წამიერ კონფიგურაციათა ჯაჭვი. ამ ეპოქის სულისკვეთებისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი თეორიების მიუხედავად, რომლებიც სივრცის ფუნდამენტური რაობის მოაზრებას ცდილობენ, საერთო და გაზიარებული რჩება შეხედულება იმის შესახებ, რომ საგანთა სივრცესთან კავშირი მარტივი ადგილმდებარეობითაა დაღდასმული. გამოდის, რომ რაც სივრცეში არსებობს, განფენილად არსებობს ყველა მის ნაწილში.

„მეცნიერება და თანამედროვე სამყაროს" ფურცლებზე თვალნათლივ შეგვიძლია ამოვიკითხოთ აზრი იმის შესახებ, რომ ბუნების ბიფურკაციული აღქმის ფუნდამენტური ნაკლი, თავის მხრივ, არ არის უმიზეზო და უსაფუძვლო, რადგანაც ის იმ სიღრმისეული გარემოების გამოხატულებაა, რომლის დროსაც კონკრეტულს აბსტრაქციად გარდაქმნიან ან, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, კონკრეტულის მაგივრად აბსტრაქტულს ხედავენ და აღიქვამენ. სწორედ ამგვარ დისკურსს უწოდებს უაიტჰედი „არასწორად ლოკალიზებული კონკრეტიკის ცრუ არგუმენტს" (fallacy of misplaced concreteness), რომლითაც აბათილებს იმ სწავლებას, რომლის მიხედვითაც სამყაროში არსებულ კონკრეტულ ფიზიკურ ობიექტებს მარტივი სივრცული ადგილმდებარეობა და დროითი განგრძნობითობა ახასიათებთ (Whitehead, 1929, p.64-65).

„მეცნიერება და თანამედროვე სამყაროს" თავში, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეს მიმოიხილავს, უაიტჰედი ზემოთ ნახსენებ „ცრუ არგუმენტთან" ერთად, „მარტივი ადგილმდებარეობის" (simple location) კონცეპტის განმარტებასაც ახდენს. მოაზროვნის აზრით, იმის მტკიცება, რომ მატერიის რაღაც ნაწილი მარტივ ადგილმდებარეობას ფლობს, იმის აღიარებასაც გულისხმობს, რომ ის იმყოფება იქ, სადაც იმყოფება, სივრცის განსაზღვრულ, სასრულ რეგიონში და დროის განსაზღვრული მსვლელობის სასრულ მონაკვეთში, იმ არსებული კავშირების ხაზგასმის გარეშე, რომლითაც მატერიის ამ ნაწილს სივრცის სხვა რეგიონებთან და სხვა დროით ხანგრძლივობებთან დაკავშირება შეეძლებოდა. უაიტჰედის თვალსაზრისით კი, ჩვენს უშუალო გამოცდილებაში მოცემული ბუნების პირველად ელემენტებს შორის ვერ ვიპოვით ისეთს, რომელსაც ამგვარი მარტივი ადგილმდებარეობა ახასიათებდეს. მოაზროვნე ხაზს უსვამს, რომ კონ-

სტრუქტიული აბსტრაქციის პროცესის მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ, ერთი მხრივ, იმგვარ აბსტრაქციებს, რომელნიც მატერიის მარტივად განთავსებულ წერტილებს წარმოადგენენ, ხოლო მეორე მხრივ, აბსტრაქციებს, რომელნიც მეცნიერების სქემაში ჩართულ გონებას უსვამენ ხაზს. სწორედ ამგვარად ვუახლოვდებით იმგვარ ვითარებას, რომელსაც ავტორი „არასწორად ლოკალიზებული კონკრეტიკის" სახელით ასათაურებს (Whitehead, 1929, p. 414-415).

უაიტჰედის პერსპექტივიდან საფუძველშივე ნათელი ხდება, რომ „მარტივი ადგილმდებარეობის" ცნება ინდუქციურ პროცესთა წინაშე ბადებს გადაულახავ სირთულეებს, რადგან ეს კონკრეტული თეზა არ ითვალისწინებს მატერიის შინაგან კონფიგურაციულ კავშირთა ურთიერთობას წარსულ თუ მომავალ დროსთან. ასეთ ვითარებაში კი ბუნებაც, რომელიც რაღაც განსაზღვრულ დროის ჩარჩოში არსებობს, თუ შეიძლება ითქვას, თავისივე ისტორიულობასთან წყვეტს კავშირს და სრულებით ემიჯნება საკუთარი არსებობის სხვა პერიოდებს. შედეგად ვიღებთ სინამდვილეს, რომლის პირობებშიც ინდუქციის დაფუძნება შეუძლებელი ხდება რაიმე ისეთზე, რაც ბუნებაში შინაგანად იქნებოდა მოცემული. შესაბამისად, ჩვენ უკვე აღარ ვფლობთ უნარს, ბუნებას შევხედოთ, როგორც მასში არსებულ კანონში ჩვენი რწმენის გამართლებას, თუნდაც გრავიტაციის კანონის შემთხვევაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნების უბრალო მჭვრეტელობა კარგავს ბუნებითი წესრიგის იდეის დადასტურების შესაძლებლობას, ვინაიდან თავად ფაქტში აღარაფერია ისეთი, რაც შინაგანი კავშირის პრინციპით თავისსავე წარსულს ან მომავალს დაუკავშირდებოდა. თითქოს ვერც მახსოვრობა და ვერც ინდუქცია ვეღარ პოულობს ობიექტურ დაფუძნებას ბუნებაში, თავისთავად (Whitehead, 1929, p. 64-65).

ბუნების ბიფურკაციის სქემის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო ექსპონენტს უაიტჰედი მექანიცისტური მატერიალიზმის წარმომადგენლებთან ხედავს, მოაზროვნეებთან, რომლებიც მედგრად იცავდნენ „პირველადი და მეორადი თვისებების" თვალსაზრისს.

პირველად და მეორად თვისებებზე განაზრებებს ჯერ კიდევ დეკარტთან ვაწყდებით, თუმცაღა აზროვნების ისტორიაში მის პირველ ფორმულირებას რობერტ დოილს მიაწერენ. დეკარტის მსჯელობაში თვისებათა პირველად და მეორად კატეგორიებად ტერმინოლოგიურ დაყოფას ვერ ვხედავთ, თუმცა მისი განაზრებებიდან ნათლად იკვეთება გალილეისეული რწმენის ფილოსოფიური გადამუშავების მცდელობა. დეკარტის შემოქმედებაში თვისებათა ბიფურკაციული სქემის განვითარებისათვის თვალის მიდევნება, ერთი მხრივ, "მეტაფიზიკური მედიტაციების", ხოლო მეორე მხრივ, "ფილოსოფიის საწყისების" მეშვეობით შეგვიძლია. სწორედ "მეტაფიზიკურ მედიტაციებში" ვხვდებით პირველადი და მეორადი თვისებების შესახებ ერთობ საინტერესო განაზრებას:

> ბუნება, ასევე, მასწავლის, რომ არსებობს მრავალი სხვა სხეული ჩემი სხეულის ირგვლივ, რომელთაგანაც ზოგთან ახლოს უნდა ვიყო, სხვებს კი უნდა გა-

ვექცე. იქიდან, რომ ვგრძნობ ფერს, გემოს, სუნს, სითბოს, სიმკვრივეს და სხვა მისთანათა მრავალფეროვნებას, სრულიად მართებულად გამომაქვს დასკვნა: საგნები, რომლისგანაც ეს სხვადასხვა გრძნობადი პერცეფციები წარმოიქმნება, ამ მრავალფეროვნებებს შეესაბამება, თუმცა, შესაძლოა, სინამდვილეში ისინი მათი მსგავსი არც იყოს (დეკარტი, 2018, გვ. 285).

"ფილოსოფიის საწყისებში" დეკარტი წერს: "სხეულებში მოძრაობის, ფიგურის ან მდებარეობის და ნაწილაკთა ზომის გარდა არაფერია ისეთი, რასაც ძალუძს აღძრას რაიმე გრძნობა ჩვენში" (დეკარტი, 2018, გვ. 424). ოდნავ მოგვიანებით კი იმ თვისებების ჩამონათვალს გვთავაზობს, რომლებიც მისი მექანიცისტური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს მოთამაშეებად წარმოგვიდგებიან:

> ყოველივე, რაც გარე საგნებში ჩვენ მიერ სახელდებულია სინათლედ, ფერად, სუნად, გემოდ, ბგერად, სიცივედ ან სითბოდ და მათი სხვა შეხებით თვისებებად ან სუბსტანციურ ფორმებად, ეს სხვა არაფერია, თუ არა მათი ნაწილაკების სხვადასხვა ფიგურა, მდებარეობა, სიდიდე, მოძრაობა და მათ ნაწილაკთა მოძრაობები, რომელთაც ძალუძთ ჩვენი ნერვების ნაირგვარი სახით ამოძრავება, რათა მათ აღუძრან ყოველნაირი შეგრძნება ჩვენს გონით სულს (დეკარტი, 2018, გვ. 425).

ამ სახის დაკვირვებებს დეკარტი იდეათა განსხვავებულ სახეობათა აღმოჩენასთან მიჰყავს. ისიც მათ სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: თანშობილ, შეძენილ და სუბიექტის მიერ შექმნილ იდეებად (დეკარტი, 2018, გვ. 246).

დეკარტის მოსაზრებით, ადამიანთა უმრავლესობას ჰგონია, რომ იდეათა მეორე ჯგუფი გარეგან ობიექტებთან თანხვედრაში იმყოფება. ეს მცდარი შეხედულება იმის გამოცაა გავრცელებული, რომ ამგვარი იდეები ნებელობისაგან დამოუკიდებლად იბადებიან, ადამიანებს კი ჰგონიათ, რომ მათში რაღაც ტიპის გარეგანი საგნის ზმანებაა ასახული. ამგვარი რწმენა ვერ ითამაშებს მყარი ფუნდამენტის როლს იმ შეხედულების დასამტკიცებლად, რომ გრძნობადი იდეები გარედან მომდინარეობენ (დეკარტი, 2018, გვ. 247).

ფილოსოფიის ისტორიის შემდგომი პერსონაჟი, რომელიც ამგვარ იდეებს უღრმავდება, ჯონ ლოკი გახლავთ. ინგლისელი მოაზროვნის შემეცნების თეორიაში შემეცნების პროცესი აღქმით იწყება. რადგან აზროვნება მხოლოდ იდეის დახმარებითაა შესაძლებელი, ხოლო თავად იდეები გამოცდილებიდან იბადებიან, შესაბამისად, ვერანაირი ცოდნა ვერ გაუსწრებს წინ თავად გამოცდილებას. საგანთა არსებობის და ჩვენ გარეთ არსებულ არსებათა შესახებ მსჯელობა ჩვენივე შეგრძნებათა საფუძველზე შეგვიძლია მხოლოდ. „გამოკვლევაში ადამიანის გონების შესახებ" მოაზროვნე კითხულობს: „ყოველი იდეის საწყისი შეგრძნებებსა და რეფლექსიაშია. დაე, წარმოვიდგინოთ გონე-

ბა, როგორც თეთრი ფურცელი, ცარიელი ყოველგვარი შინაარსისაგან, ყოველგვარი იდეისაგან თავისუფალი. როგორ ხდება ის, რომ იგი ივსება?" (Locke, 1829, p. 61).

თავისი თეორიის განვრცობასთან ერთად, ლოკი ერთმანეთისაგან ასხვავებს საგნის პირველად და მეორად თვისებებს. პირველ კატეგორიას იგი ფორმას, განვრცობას, მოძრაობას, მოსვენებას და რაოდენობას მიაკუთვნებს. ნიუტონის დინამიკური პრინციპებიდან გამომდინარე, რომლებიც მისთვის ერთგვარ ათვლის წერტილებს წარმოადგენენ, ლოკი მასასაც სხეულის პირველად თვისებებში ათავსებს. პირველადი თვისებები სუბსტანციის არსობრივ თვისებებს წარმოადგენენ, რომელთა სივრცული და დროითი კოორდინატებიც ქმნიან კიდეც იმას, რასაც ბუნებას ვუწოდებთ. ამგვარ ურთიერთობათა წესრიგი ნელ-ნელა ბუნების წესრიგად გარდაიქმნება. თუკი პირველ თვისებებს, როგორებიცაა ხმა, გემო, სუნი და ფერი, ჩვენ გრძნობათა მხოლოდ ერთი ორგანოს მეშვეობით აღვიქვამთ, ფორმის აღქმა შეგვიძლია როგორც თვალებით, ისე შეხებით. მათი წარმოქმნა თუ გამოწვევა ჩვენში ყველაზე უმცირესი მატერიალური ნაწილაკების აქტივიზაციის მეშვეობით ხორციელდება. ამ ნაწილაკთა შემჩნევა კი შეუძლებელია. ისინი არ აღიქმებიან გრძნობათა ორგანოების მეშვეობით, სწორედ ამიტომ გვევლინებიან ერთობ განსაკუთრებული სახით (Locke, 1829, p. 61).

ალფრედ ნორთ უაიტჰედის პრიზმიდან დანახული მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების მეცნიერების მიერ აღწერილი ბუნება ერთ ფუნდამენტურ აპრიორულ პრინციპს ეფუძნება, კერძოდ იმ თეზისს, რომლის მიხედვითაც სამყაროს მოაზრება დროის, სივრცის და მატერიის ცნებებში სივრცობრივად ხორციელდება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, დროც, სივრცეც და მატერიაც სივრცეში იმყოფებიან და არ განიხილებიან მისგან დამოუკიდებლად. სწორედ აქედან გამომდინარეობს ახალი დროის სამეცნიერო ფილოსოფიის მსგავს სისტემებში ცვლილებისა და პროცესის ცნებათა აღმოცენების ერთგვარი შეუძლებლობა.

მექანიცისტური მატერიალიზმის შინაგან უთანხმოებას უაიტჰედი შემდეგნაირ ფორმულირებას აძლევს: "ბიფურკაციის თეორია არის მცდელობა ბუნების მეცნიერებისა, ცოდნის ფაქტის მიზეზის ამხსნელი ფენომენის წარმოდგენისა, სახელდობრ, ის არის მცდელობა ხილული ბუნების გონებიდან გამომდინარეობის დამტკიცებისა, კაუზალური ბუნების გამოისობით" (Whitehead, 1920, p. 31-32).

შედარებით ნათელი გახდა უაიტჰედის ერთ-ერთი უმთავრესი ნატურფილოსოფიური განზოგადება. კერძოდ ის, რომ ბუნება მთლიანობაში ყოველთვის ერთიანია, ხოლო რეალობის გარკვეულ ფენომენთა სუბიექტივიზმი ფილოსოფიურ გაუგებრობათა შედეგია და არამც და არამც – მეცნიერული დასკვნა.

ინგლისელი მოაზროვნის შემოთავაზება ბიფურკაციის გადასალახად კი ამგვარია: მეცნიერების მიერ განხილული ელემენტარული ნაწილაკები გრძნობადი მოცემულობის კატეგორიებში უნდა განისაზღვრებოდნენ, ხოლო გრძნობად მოცემულობათა

რეალიები – ამ ელემენტთა თვისობრივ და ფუნქციურ განზომილებებში. სწორედ ახალი მეცნიერების ინტერესებშია იმის ჩვენება, რომ „ბუნება, სხვა არაფერია, თუ არა გამოთავისუფლებული გრძნობადი ცნობიერება" (Whitehead, 1920, p. 185).

თანამედროვე ფიზიკის განვითარების სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი უაიტჰედის განზოგადებებს ბუნების მეცნიერების ხვალინდელი დღე ხელმეორედ აღმოაჩენს.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბიფურკაციული პარადიგმის გაკრიტიკებისას, უაიტჰედი მის მთავარ შეცდომად ბუნების პირველად და მეორად თვისებებად დაყოფას მოიაზრებს. ამ კონკრეტული დოქტრინის ანალიზმა აჩვენა, რომ მისი ყველაზე უფრო რადიკალური ფორმები დეკარტის და ლოკის სისტემებშია ჩამოყალიბებული. დასავლური ფილოსოფიური ტრადიციის მიერ ყველაზე უფრო ნაკლებად გაანალიზებული „ბუნების ბიფურკაციის" ეს კონცეპტი ცენტრალურ პრობლემად გარდაისახა ინგლისელი მეტაფიზიკოსისა და მათემატიკოსის კოსმოლოგიურ სისტემაში. უაიტჰედის ფილოსოფიის პერსპექტივიდან, ამ თემის დავიწყება თავად დასავლური აზროვნების იმანენტური მახასიათებელია, მისი ისტორიის წარმოდგენა კი შეუძლებელი ხდება ამ უარყოფის გათვალისწინების გარეშე. მოაზროვნე გვიჩვენებს, რომ გამიჯვნა ხელოვნური ხასიათისაა და არა ბუნებითი ფორმის, იგი მოდერნული გამოგონებაა, მისი სნეულების ერთ-ერთი (უაიტჰედისათვის ძირეული) რეალიზაცია და გამოვლინება. იმის თქმაც არ იქნება გადამეტებული, რომ ყოველი კონკრეტული აზრობრივი ოპერაციის შესრულებისას, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამყარო ორად იყოფა და გარდაიქმნება რადიკალურად გამიჯნულ, კონცეპტუალურ ნახევარსფეროებად (ერთი მათგანი სამყაროს ძირეული და ფუნდამენტური კანონებითაა აღჭურვილი; მას ასეთად მხოლოდ მეცნიერება იცნობს; მისი წესრიგი ჩვენი ხედვისათვის მიუწვდომელია; მეორე მათგანი კი წარმოგვიდგება, როგორც ფასეულობათა კრიტერიუმით აღვსილი სინამდვილე ან, სხვაგვარად თუ ვიტყვით, გონის საუფლო, კონცეპტუალურად დამუხტული სივრცე, რომელშიც სამყაროს ბაზისური ფიზიკის კანონების სახით ფუნქციონირებადი ნაგებობა ჩვენი აზროვნების პროდუქტად გარდაიქმნება, რაც შემეცნების პროცესისთვის მის დაქვემდებარებას უტოლდება), თავად ვიღებთ თანამონაწილეობას ბუნების გახლეჩაში, ჩვენ თავად მოვუწოდებთ მას ბიფურკაციისაკენ.

ლუკა კუჭუხიძე

Luka Kuchukhidze
Ilia State University

The Problem of the Bifurcation of Nature in Alfred North Whitehead's Philosophy (Rethinking the Primary/Secondary distinction)

Summary

The purpose of this Paper, is to analyse the main theme in the oeuvre of the English metaphysician and mathematician Alfred North Whitehead, namely, The Concept of Nature. Whitehead was one of the first thinkers, who understood the fact that, just as the cognitive, thinking process has an awareness (I am aware of the fact that I am thinking), Sensations, also, in the process of perception, form a curtain kind of, unique awareness. This time not a cognitive, but a sensual one. Sense-awareness causes us, to experience "the whole occurrence of nature." For Whitehead, Nature is that which we observe in perception through the senses. In this sense-perception we are aware of something which is not thought and which is self-contained for thought. This property of being self-contained for thought lies at the base of natural science. It means that nature can be thought of as a closed system whose mutual relations do not require the expression of the fact that they are thought about.

Natural sciences, due to its aims, are only interested in the object of sense-awareness, not in the sense-awareness itself, but for Whitehead this kind of positioning of a problem, already involved a danger of dividing nature in two distinct spheres: in nature which is apprehended purely by consciousness and in nature, which is the cause of consciousness. This stance is a philosophical fiction, which is named by the thinker as "the bifurcation of nature".

At the heart of this doctrine lies the idea about the primary and secondary qualities, which has a long philosophical history, as a kind of shadow starting already in Aristotle, but mainly formulated in the sixteen-seventeen centuries. Primary qualities are usually described as properties of objects that are independent of any observer, For example: solidity, figure, number, motion and extension. These characteristics convey facts. They exist in the thing itself, can be determined with certainty, and do not rely on subjective judgments. For example, if an object is spherical, no one can reasonably argue that it is triangular. Primary qualities exist outside of the observer. Secondary qualities are thought to be properties that produce sensations in observers, such as colour, smell and sound. They can be described as the effect things have on observers. Knowledge that comes from secondary qualities does not provide objective facts about things. Secondary qualities use the power of reflection in order to

be perceived by humans minds. They are sensible qualities that produce different ideas in mind from the actual object. For example in case of a tree, something such as the greenness of a tree does not produce an image of the object (tree) itself, but rather the idea of greenness. Secondary qualities are used to classify similar ideas produced by an object.

The primary/secondary quality distinction is most thoroughly formulated by John Locke in his Essay concerning Human Understanding, but earlier Philosophers and thinkers made similar conclusions about the ontological and epistemological status of reality, too. For instance, Descartes bifurcated nature into mechanical nature composed of matter and human nature composed of spirit. Locke bifurcates nature along the lines of primary and secondary qualities: primary qualities being extension, mass etc; secondary qualities, the sensuous qualities of colour, taste etc. The latter are properties that human nature traces over nature proper to make it comprehensible. They are not in nature itself, but in mind or in spirit. The doctrine of qualities also seems intuitively simple, perhaps because it is often characterized as an appearance–reality distinction: there are certain qualities that objects in the world have intrinsically, independent of our perception of them, while there are others that we ascribe to them only in relation to our perceptual sensibility. For example, the world in itself consists of objects that are extended and shaped but not colored, at least not in the way that we experience color. Color as perceived is merely a subjective consequence of the way that objects affect our sensory faculties.

For Whitehead, bifurcating nature into dream and conjecture is a fallacy. The idea that our experience could arise out of natural units conceived as primary or secondary qualities is paradoxical. But problem only arises, Thinker says, because we have committed “the fallacy of misplaced concretenes”. What is common to all forms of the fallacy of misplaced concreteness is the "error of mistaking the abstract for the concrete" — Assuming that nature is composed of matter understood as having "simple location." If a bit of matter is "simply located" it means that it is right *here* in space and time in a way that requires no essential reference to other regions of space-time. In other words, the concrete units of nature would have no essential reference either to the past or to the future.

The materialistic view of the concrete units of nature, besides simple location, consists of the notion of time as an *instant,* in other words, time completely devoid of duration. According to this view, There is no inner motion, no internal becoming in nature; the only kind of motion ascribable to the units of nature is locomotion, motion through space. Because the concrete units of nature are assumed to have no inner duration, they are assumed to have no intrinsic reality whatsoever, which means that they are assumed not to have any intrinsic *value,* not to

be things that exist for their own sakes. They are actualities, totally devoid of experience. According to this view, the units of nature, being completely timeless, are totally different from our conscious experience as we know it immediately. Natural units are said to have no reference to the past. We experience a present duration, in which we enjoy intrinsic value and make choices among possible values, whereas the reality of the units of nature are exhausted by their outer features. Finally, our present experience, with its purposes, includes an anticipation of the future, whereas nothing same can be said to occur in the units of nature. Our experience is temporal, the units of nature are purely spatial.

In other words, matter for the 17th century philosophy was situated in a definite region of space during a definite period of time without reference to other regions of space and other times. The answer that seventeenth century thinkers gave to the Ionian ancient question "What is the world made of"? is that, the world is a succession of instantaneous configurations of matter.

A contemporary manifestation of the bifurcation Theory, would be the notion of mental representations: contentful symbolic structures which brain creates and manipulates. In such a picture, Perception becomes a process of converting sensory stimulations into symbolic representations, to produce sensory experience and guide our action. So what we perceive is not nature per se anymore, but a mental representation of it. Common to these schemes is the alienation of the human subject from Nature, and the idea that Nature is intrinsically devoid of any meaning. Meaning transforms into an illusory quality, something added.

Alfred North Whitehead develops his new understating of nature on the basis of his fundamental critique of the above mention idea of matter, which is deeply connected to the scheme of natural bifurcation in two realms, subjective and objective worlds. With the help of Metaphysician's critical stance, it becomes more evident that fundamental rethinking of the problem of nature is utterly urgent, especially in terms of today's ecological crisis, which at the core is a philosophical problem and is deeply rooted in the modes of thought, against which Whitehead's critique is directed. Philosopher helps us to understand the conceptual starting points of our modern-day ills.

Key Words: Philosophy, Whitehead, Nature, Bifurcation

ბიბლიოგრაფია

დეკარტი, რ. (2018). *ფილოსოფიის საწყისები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დეკარტი, რ. (2018). *მეტაფიზიკური მედიტაციები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Locke, J. (1829). *An Essay Concerning Human Understanding.* London: Dove St. Jone's Square

Whitehead, A. N. (1920). *Concept Of Nature.* Cambridge (England): Cambridge University Press

Whitehead, A. N. (1929). *Science and the Modern World.* Cambridge (England): Cambridge University Press